აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ოქმი #8

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1 5 ოქტომბერი 2023 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.დავით ცანავა - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

2. ზეზვა მაკალათია-აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

2. მურთაზ ჯალაღონია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

3. იაგო თოდუა- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დავით ცანავამ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე ,რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ცანავა

მოისმინეს:

1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ცანავა

აზრი გამოთქვეს: მურთაზ ჯალაღონიამ, და იაგო თოდუამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე-4 წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"მე-80 მუხლისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად .. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი

გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს:

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე ,რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება თანხმობის მიცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ. ცანავამ, ზ.მაკალათიამ და იაგო თოდუამ

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე-4 წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ,გ" ქვეპუნქტის და ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე ,რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება თანხმობის მიცემის შესახებ. დადგენილების პროექტი

გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: /დ. ცანავა/